



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030409461316919

№ 04-309/თ

15 / თებერვალი / 2019 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N684 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე „ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 იანვრის №04-214/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N684 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ზოგიერთი ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე „ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 21 იანვრის № 04-214/თ ბრძანების დანართი N1 ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ან/და იურიდიული პირის სამართლებრივი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;“

2. დაევალოთ სააგენტოს:

ა) ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე) წინამდებარე ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის გადაგზავნა;

ბ) დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი) წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თამაზ მოდებაძე